გოჩა გვასალია

გამოხმაურება „ანდრეზების“ კორპუსზე

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი და განსაკუთრებით ხევსურეთი გამორჩეულია მითების სიმრავლით, ზეპირსიტყვიერების მრავალფეროვნებით. იშვიათია ხევსური და ფშაველი, მთიული, მოხევე და თუში, რომელსაც შაირი არ შეუთხზავს და რომელიმე ანდრეზი არ ახსოვდეს.

ზურაბ კიკნაძის გამოცემული კრებული - **„ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები),** *ილია ჭავჭავაძის სახ. უნ-ის გამომც., თბ., 2009* - დიდი შენაძენია ქართლის მთის სიტყვიერებისა და მთიელთა მითოსის შემსწავლელთათვის. მითოლოგიური გადმოცემის გამოკვლევისა და ქართული მითების ფილოსოფიური ინტერპრეტირების საქმეში მთლად სახარბიელო ვითარება არ ყოფილა. აქ, ამ წიგნში თავი მოუყრია წლების მანძილზე შეგროვილ ქართულ მითებს. ვინც იცის, რას ნიშნავს მთიანეთის სოფლების მოვლა, რათა გაიცნო და ააზრახო ძველ ანდრეზთა მთხრობელნი, ის დამეთანხმება, რომ ამ კრებულში ხანგრძლივი შრომის ნაყოფს ვხედავთ. ქართული ენის კარგი მცოდნენი კი ხევსურეთის, ფშავის მთიულეთ-გუდამაყრის და თუშეთის კილოებში ძველი ქართული ენის იმ კვალს დაინახავენ, რაც თანამედროვე ქართულში ისე თვალნათლივ აღარ ჩანს. მითებს თავისებური წაკითხვა და ჰერმენევტიკა ესაჭიროება. საქართველოში მითის ჰერმენევტიკის განვითარებისათვის ამ კრებულის გამომცემელმა, ბატონმა ზურაბმა ბევრი გააკეთა. აქ არ შეიძლება არ გავიხსენო მის მიერ თარგმნილი გილგამეშის ეპოსი, თავისი ლექსიკონით, განმარტებებითა და ბოლოსიტყვაობით (1963). ასევე გახსენებად ჰხამს მის მიერვე გამოცემული „თამუზის სიზმარი“ (1969), „შუამდინარული მითოლოგია“ (1976), „ძველი შუამდინარული პოეზია“ (1987). ამ „ანდრეზების“ გამოცემას კი წინ უსწრებდა მის მიერვე გამოცემული „ქართული მითოლოგია I, ჯვარი და საყმო“ (1996) და „ქართული ხალხური ეპოსი“ (2002), ასევე

„ქართული ფოლკლორი“ (2008). დასახელებული წიგნები ამზადებს საფუძველს იმ მიმართულებისათვის, რასაც მითოსის ფილოსოფია ეწოდება.

წიგნში, რომელზეც აქ არის მსჯელობა და რომლის შემეცნებითი ღირებულება მართლაც რომ უდავოა, ანდრეზები კუთხეთა მიხედვითაა განლაგებული. უპირველესი ხევსურეთია და ეს ასეც უნდა იყოს. შემდეგ მოდის ფშავი, მას მოსდევს მთიულეთი, გუდამაყარი, თუშეთი და ბოლოში არის ხევი. ბევრი ანდრეზი თავად ბატონ ზურაბს ჩაუწერია (გველეთის განძი I, სანაგის სანაგი I, ადგილის დედა ატაბეში II, დიდგორის ჯვარის დაარსება, კოპალას გამარჯვება II და სხვა). ანდრეზებში გადმოცემულია ის ამბები, რაც მთიელთა ძველი სათემო ტრადიციების ლიბო იყო. მთიელთა მითები გრძელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გაქრისტიანების შემდეგაც. ქრისტიანობა და ძველი ანდრეზები ერთმანეთს გადაჭდობილია და ეს მით უფრო საგულისყურო მოვლენაა, რამდენადაც ცნობილია, რომ ეკლესია უარყოფითად აფასებდა და გმობდა მითებს.

ქრისტიანობამდელ დასავლეთ საქართველოში იყო ბერძნული კოლონიები და არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბევრჯერ აღმოჩენილა ელინური კულტურის კვალი. ამის მიუხედავად, მითოსური ცნობიერებისა და მასზე დაფუძნებული ბერძნული ფილოსოფიის გავლენა მცირედ შესამჩნევი იყო საქართველოში. ძველ საქართველოში მითზე უარყოფითი აზრი გამოუთქვამთ გიორგი ათონელს, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს. მათთვის მითური ამბები ზღაპარია. მითი „მოგონებულ ტყუილად“ მიიჩნევა, ვითარც ამას სულხან-საბა ორბელიანი იტყვის. „არს მოგონებული ტყუილი, ამბავად შემჭევრებული და არა ქმნილი მყოფობით“ (სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული I, თბ., „მერანი“, 1991, გვ. 291). მწიგნობარ ბერთაგან შემდგარი ძველი საქართველოს განათლებული წრეები ყოველთვის ამცრობდნენ მითოსის მნიშვნელობას და ასეთ ვითარებაში მთებსა და ხეობებში მაინც არსებობდა და თაობებს გადაეცემოდა კოპალას, იახსრის, პირქუშის დევებთან ბრძოლის, კაცისა და დევის ძმობის ანდრეზები. ქართული მითების ინტენსიური სამეცნიერო შესწავლა, მათი შეკრება და გამოცემა საბჭოთა დროიდან იღებს სათავეს. მანამდე მთიანეთის ანდრეზები და ზეპირსიტყვიერება არ ყოფილა საგანგებო შესწავლის საგანი.

დიდად განსაკვირი ერთი რამ არის: ეკლესია დევნიდა წარმართობის ნებისმიერ გამოვლენას და ქართლის გაქრისტიანების შემდეგ მოისპო ძველი, წარმართული საქართველოს ბევრი არტეფაქტი. უთუოდ იქნებოდა წერილობითი ძეგლები, იქნებოდა ძველ ქართულ

ღმერთებთან დაკავშირებული ხელოვნების ქმნილებანი. არაფერს არ მოუღწევია აქამდე. ეკლესიამ საქართველოს ჟამსათვალავი ქართლის გაქრისტიანებიდან დაიწყო. მთაში არსებულ მითებს კი მან ვერაფერი დააკლო. ქრისტიანობა მთიელთა ანდრეზებს შეუერთდა და ამითაა უნიკალური ქართული მითოსი. თავად ქრისტიანობა, მისი ღვთისმსახურება და კულტი იქცა მითის ნაწილად. მითი კი არ შეუერთდა ქრისტიანობას, არამედ ქრისტიანობა შეიერთა ქართულმა მითმა. რაც არ მომხდარა ძველი დიდი მითების მქონე ქრისტიანულ საბერძნეთში, ქრისტიანულ გერმანიაში, ის აქ მოხდა. ქართველი მთიელი წარმართიც იყო და ქრისტიანიც. ასეა ვაჟა-ფშაველა. მთიელთა ფშვინვა და გულისძგერა იყო ეს ანდრეზები. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც ძალუმად სჭვივის მთათა შორის ნაშობ ანდრეზთა შუქი. მთათა შორის ცხოვრებამ, ამ ხევებმა, ტინებმა, ეხებმა, ჭიუხებმა და ღრანტეებმა აცხოველა მითი. კაცისა და უხორცო არსებათა მატიანე შეიქმნა და დღემდე არის დევთა ნაფუძარი და ნაბინავარი ადგილები ხევსურეთში, როგორც ისტორიული ადგილები. ვაჟა-ფშაველას აქვს 1913 წელს დაწერილი მოთხრობა „დროშა“. აქ ნაამბობია იმაზე თუ როგორ მტრობს მღვდელი ხევისბერს. მან დააბეზღა ხევისბერი და ხატობა დღეს მას თავზე ბოქაული დააყენა. ხევისბერს ხატის დროშას ართმევენ, რათა მოშალონ ხატობა. მღვდელი ეუბნება ხატში მისულ ხალხს, რომ ეკლესია დაგვიწყნიათ და ამ ყორეებს ჰლოცულობთო.

წინამდებარე კრებულის განხილვას დავიწყებ ერთი საკვირველი ხევსურული ანდრეზის გადმოცემით („გამიწრივლებული ჯვარი“ (გვ. 156). ეს არის ამბავი, თუ როგორ გადაიქცა საღვთო ალაგი და სალოცავი მავნის ბუდედ და მაცილად, რომელსაც ხალხი ერიდება.

სოფელ ახიელის შუაში ღვთისმშობლის სალოცავი ყოფილა. მხოლოდ ბალიაურების სალოცავი იყო. ერთხელ სხვა გვარის კაცი, სახელად დათვია, სახლის საძირკველს თხრიდა და მიწას ღვთისმშობლის ნიში ამოჰყვა. ამ კაცს სახლი გაუკეთებია და გაგა ბალიაურს მისთვის უთქვამს: „შენ იცი და მაგ სალოცავმაო“. დათვია ცოლ-შვილიანად ამოწყვეტილა, რადგან ხთიშობელი ჰყავდა გამწყრალიო. ანდრეზის მიხედვით, ეს ადგილი დღესაც ახსოვთ და ღვთისმშობლის ნამყოფ ადგილზე ბავშვებს არ უშვებენ. ამბობენ, ეს ადგილი რომ გამოთხარეს, მერე სალოცავიც გამიწრიელდაო (მიწრიელი ეშმას ნიშნავს - გ. გ.). ამ თქმულებით, მკითხავები ამბობენ, „ბალიაურთ ჯვარი რომ გამიწრივლდა, იქვე, ქვითკირის ნანგრევის კუთხეში ცხოვრობს ქალის სახითო“. მწვანით მოსილ ქალს ვხედავთ ამ ნანგრევებშიო, რომელიც ეძებს ვის რა ავნოსო.

ამ ანდრეზს ვარიანტები არა აქვს და მხოლოდ ერთი მონათხრო-

ბის სახით არსებობს. სხვა მრავალ ანდრეზს კი აქვს თავისი ვარიანტები და, მაგალითად, რომელიმე ხევსურული მითი შეცვლილი სახით ახსოვთ ფშავში, თუშეთსა და ხევში. ასეთია მითები დევებთან მეომარ კოპალასა და იახსარზე, ეშმაკის შინ მიყვანაზე.

მითები კვრივის დაარსებაზე არის ნუმინოზურის ვლენა ადამიანის სადგომში. კერიაში იფნის ამოსვლა არის ღვთის ძალის გამოვლენა (გვ. 115), რაც იმას ნიშნავს, რომ კაცის საცხოვრისი ღმერთმა დაიჭირა და იმ ადგილას სალოცავი უნდა დაარსდეს. ანდრეზში „იფნი კერიაში“ (გვ. 27) შუაცეცხლში ხე ამოდის და იქ დაარსდა ხახმატის წმინდა გიორგი. ჯვრის ნიშნით რომ კერიაში ტყენი (ხე) სამჯერ ამოდის, ეს იმას მაუწყებელია, რომ ხატმა ადგილი აირჩია დასავანებლად და ის ადგილი კაცმა უნდა დათმოს. კაცის სახლი საღვთო ყორუღად იქცევა. თუ სახლის პატრონი ურჩობს და კერიაში ამოსულ ხეს მოსჭრის, ხატი შურს ძიობს, შერისხავს მას და მის ჯალაბობას ერთიანად გაწყვეტს (ასეა ანდრეზში „თავადი ბეღლის ანგელოზი“ (გვ. 117), ასევეა ანდრეზში „გიორგი წყაროსგორულის დაარსება“ (გვ. 115) და ანდრეზში „გოგოლაურთის ხვთიშობლის დაარსება“ (გვ. 203). ანდრეზები შუაცეცხლში ამოსულ ხეზე ბევრჯერაა გადმოცემული ამ კრებულში და ყოველი მათგანი თავისებურად საგულისხმოა („იფნი კერიაში,“ გვ. 27, „ქეთელაურთა გვარის ანდრეზი,“ გვ. 30). ხატის მიერ კოჭის მოკიდება (დაბრძანება) ასევე ბევრ ხევსურულ და ფშავურ ანდრეზშია ნაუწყები. სალოცავის აშენებაზეა ხევის ანდრეზი „სამების დაარსება I,“ გვ. 342), როდესაც ბერი ურჩევს მეფეებს, რომ საკლავის ბეჭს სადაც ყორანი წაიღებს, გამოხრავს და დააგდებს, წმინდა სამების ტაძარიც იქ უნდა აშენებულიყო. კრებულის დასაწყისში მოთხრობილია გუდანის დასახლებაზე (გვ. 15-16). კვრივი ყოფილა გუდანი. ეს რომ შეიტყვეს ხევსურთ, დაესახლნენ გუდანს. აქ, ამ მადლიან ალაგს ერთი ქისა იფქლი დაითესა და მომკისას ნათესმა ერთი გუდა გაავსო და ამად თქმულა:

„ ერთი ვერძისა ქისამავ
გუდან შექმნა და გუდანივ.“

გუდანს დასახლების ამბავს ეხმიანება თუშური ანდრეზი „ხევსური თუშეთში“ (გვ. 330), როცა ბარაქიან ადგილას მომკილმა ქერმა ჯიხვის ტყავი აავსო და მონადირე იქ დასახლებულა.

ანატორის ჯვარი ხევსურთა და ქისტთა საერთო სალოცავი ყოფილა. ანატორის საყმოსა და ჯვარზე ხუთი ანდრეზია (გვ. 102-6). საოცარია, რომ მუდამ ერთურთში მომტერე ხევსურებსა და ქისტებს ერთი სალოცავი ჰქონდათ. ქისტები გადმოდიოდნენ ანატორის ჯვარში შესაწირით და სამხვეწროდ.

მკითხველს დიდად შემსჭვალავს ამბავი კაცისა და ღვთის ერთად ყოფნაზე. ეს არის ხუთი ანდრეზი გახუა მეგრელაურზე (გვ. 38-41) და ამას მოსდევს სხვა ანდრეზებიც ღვთის უნჯ გახუაზე. გახუას ხელში მოსდიოდა მფრინავი ხატი. ღვთის კაცი იყო გახუა და ის ღვთიშვილებს თან დაჰყვებოდა ქაჯებთან ომში. ამ კრებულში კიდევ სხვა ანდრეზებია გახუას, ღვთისშვილებისა და ქაჯების ომზე. ხორციელი კაცი უხორცოთა ომში იარება. ღვთისშვილნი გახუას ომში უხმობენ. სადაც ღმერთი და ეშმაკი ომობენ, იმ ომში კაცმაც უნდა დაიდოს წილი. მითების ვარიაციებსა და თაობებში მათ სახეცვლილებაზე მირჩა ელიადეს უწერია თავის „აზიურ ალქიმიაში“. ვარიაციები ამ კრებულში საკმაოდაა. მაგალითად, პირიმზე-ფუძის ანგელოზის ანდრეზების ოთხი ვარიანტია მოყვანილი (გვ. 283- 6). ცროლისწვერის სანების ჯვარზე კრებულში მოთხრობილია რამდენიმე ადგილას (გვ. 81-2, 145-6). წიგნში არის რამდენიმე გადმოცემა ნაწილიან კაცებზე. ნაწილიანი ნიშნავს ღვთისგან წყალობილობის მქონეს, რომელსაც სხეულზე უჩვეულო ნიშანი აქვს და ის შეიძლება შუქს გამოსცემდეს. ასეთია ანდრეზი ბაბღიათ ჩუაზე, ასევე ნაწილიან ივანეზე, ტუჩით ნიკოზე (გვ. 32-33, 114).

ძველისძველი ინდოარიული მითის მიხედვით, ბრაჰმანს ასურას (დემონი) ქალი ჰყავს ცოლად. ამ მითის ქართული გამოძახილი არის ანდრეზი კაცისა და დევის ქალის თანაცხოვრებაზე (გვ. 33), კაცისა და ეშმაკის ქალის თანაცხოვრებაზე (გვ. 34). დევისა და ეშმაკის ქალები კაცებს ეხმარებიან ყანის მომკაში და მათ ცოლებს საქსოვსაც ამთავრებინებენ. ქაჯთა ციხის გატეხვის შემდეგ ქაჯის ქალების წამოყვანასა და მონათვლაზეც ნაამბობია ანდრეზში. ის ქაჯის ქალები, რომელნიც არ მოინათლნენ, მოშორებით დადგნენ კაცთა საცხოვრისიდან.

დევებს ხევსურთშვილთა და ფშაველთა გადმოცემებში დიდი ადგილი უჭერიათ. კაცისა და დევების გვერდგვერდ ცხოვრებაზე არის ანდრეზი „ბიჩინდარალას დევები“ (გვ. 86). მამუკა ქეთელაურის ნათხრობი ჩაუწერია გოდერძი არაბულს. ამ კრებულში ჯუთელი გოდერძი არაბულის ჩაწერილი ბევრი ანდრეზია. აპარეკა ალუდაურის მონათხრობი ანდრეზი „ძმადნაფიცი დევი“ (გვ. 36-7) მისი ჩაწერილია. დევეშმაკებზე თქმულია, რომ „ეგენიცა ღმერთის გაჩენილ ყოფილანავ“. ამ ანდრეზში ნაამბობია კაცისა და დევის ძმად შეფიცვაზე. დევი სთხოვს კაცს, რომ მისმა ცოლმა მას ხავიწი გაუმზადოს და კაცმა დევს ის მინდორში უნდა გამოუტანოს. დევმა კაცს დაუთქვა, რომ მას ცოლისთვის არ უნდა ეთქვა, სად მიჰქონდა ხავიწი. კაცმა დევის დათქმული არ შეასრულა და მას დევი გორზე გასული დახვდა. დევმა უთხრა კაცს: „დიაცის ენამავ აეს სახნის-საკვეთელ დაგაცდინავ“. დევი გადაიკარგა.

მას კაცისთვის ბარაქის მომტანი სახნის-საკვეთელი უნდა ესაჩუქრებინა. ამას მოსდევს მეორე ანდრეზი დევებზე (გვ. 37-8), სადაც ისინი აღწერილნი არიან, როგორც ნამდვილი არსებანი. აი, რას ამბობს მითი: „ დევები ეშმაკებთან შედარებით უფრო დინჯი და მშვიდი არსებანია. კაცისათვის გაფიცვა-გაძმობილებაც იციან და მოსისხლეობაც ძალიან იციან. თუ დევი მოკლა კაცმა, მერე იმის გვარს ყოველთვის ეშინიან, დევის სისხლი გვმართებს და არ შეგვრჩებაო. ...დევის ნაბრძოლს მისი ნახელრები ლურჯად ეტყობოდა. ...თუ დევი კაცს გაუძმობილდებოდა, კაცისათვის სასარგებლო იყო. ბევრ რამეს გააგებინებდა... დანდობა ძალიან იცოდა, რომ თავის ძმობილს თავის დღეში არ უღალატებდა და მისთვის თავს დასდებდა."

დევის ქალის ცოლად ყოლაზე ანდრეზში სიძე დევებთან მივა. ანდრეზში „გუროელი იმედა" (გვ. 114) ძმამოკლული კაცი ცდილობს დევს ძმად გაეფიცოს და მოკლული ძმის გამო შური იძიოს დევის შემწეობით. ძმობილ დევზე ანდრეზში (გვ. 110) კაცს გაძმობილმა დევმა მისი ოჯახი მოწამლული წყლის დალევას და ამოწყვეტას გადაარჩინა. კაცისა და ეშმის მეგობრობაზეა ანდრეზი „გაბურთ ეშმა" (გვ. 153-5). ამ ამბის მოხეური ვერსიაა „ეშმაკი კაცის სამსახურში I, II, III" (გვ. 349-51). დევებისა და კაცის დაჭიდებაზეა ანდრეზი „ლუდის მოყვარული დევი" (გვ. 151-2). თორღვას ანდრეზში (გვ. 141) მოთხრობილია ვეშაპისა და თორღვას დაძმობილების ამბავი. ანდრეზი „თუშები და ვეშაპი" (გვ. 335-6) მოგვითხრობს თუშთა და მათი მეგობარი ვეშაპის ომზე მეორე ვეშაპთან. მეგობარი ვეშაპი გამარჯვების შემდეგ თუშებს აბჯარს ჩუქნის. ფშავურ ანდრეზში თორღვა ქაჯავეთის ქვეყანას ჩავიდა და ქაჯმა მას ტანთ საცმელი ჯაჭვი აჩუქა, რომელიც ისარსა და ტყვიას არ იკარებდა. დიდად საკვირველია ანდრეზი ხატის მსახურ დევზე („ჩოხის წმ. გიორგი I, II, III", გვ. 290-2). ანდრეზი „დიდგორის ჯვარი" (გვ. 92-3) ჰყვება, რომ როშკისგორზე დევთდედა ცხოვრობს და როშკელი ქალებიც დევთდედისას ილოცვენ და საკლავსაც უკლავენ მას. თუშური ანდრეზი ბუდ და შემდგომ მგლად ქცეულ კაცზე (გვ. 329-30), ასევე თუშური ანდრეზი მაქცია დედაკაცზე, რომელსაც შეუძლია მგლად იქცეს (გვ. 332-4) არის მთელ მსოფლიოში გავრცელებული ძველისძველი მითის ქართული ვარიანტი, როცა კაცს შეუძლია ცხოველად ან ფრინველად ქცევა.

კაცისა და გველის ერთად დაბადების, აკვანში ერთად წოლის და ერთად გაზრდის ხევსურული ანდრეზია „ადგილის დედა ატაბეში" ორი ვერსიით (გვ. 89-90). ფშაველთა ანდრეზი „ფუძის გველი და ნატვრისთვალი" (გვ. 219) იუწყება, რომ ფშავში გველს პატივს სცემდნენ სახლშიც და სალოცავშიც. გველის მომკლავს რისხვა ატყდებოდა თავს.

ფშაველთა გადმოცემაში კოპალას და დევების ბრძოლა ბევრჯერაა მოთხრობილი. დევების სოფელი კაცთა სოფლის გვერდით იყო. კოპალაც და იახსარიც ფშაველთა ანდრეზში თავიდან ხორციელნი ყოფილან. ხევსურულ ანდრეზში მჭედელ პირქუშზეა ნათქვამი, რომ თავიდან იგი ხორციელი იყო. თუშის ქაჯეთში ყოფნის ამბავი („თუში ქაჯეთში“) გადმოგვცემს თუში კაცის ქაჯეთს ყოფნას. სამი წელი დაკარგული იყო კაცი. კოპალა მოვიდა ქაჯთა ამოსაწყვეტად და დაკარგული კაცი იმიერსოფლიდან საამსოფლოს მოაბრუნა.

კრებულში არის ანდრეზები მესმინავეზე. მესმინავე ისაა, ვინც თავს მოიმკვდარუნებს და ქაჯნი მას ხან ქვის დაყრას მოაჩვენებენ, ხან გველებს, რომ დარწმუნდნენ კაცის სიკვდილში. თუ კაცი ამ მოჩვენებებით არ შედრკა, ქაჯთ ის მკვდარი ჰგონიათ და იწყებენ მოსაწევნზე უბნობას, თუ ვინ მოკვდება სოფელში, ვის რა უწერია და აუხდება. ქაჯთა მოსმინარი კაცი შეიტყობს ყოველივე ამას, ბრუნდება სოფელში და შეუძლია შეცვალოს წინასწარ განგებული.

ვაჟა-ფშაველას პოემას „მონადირე“ (1886 წ.) გაგვახსენებს ხახმატს გოდერძი არაბულის მიერ აპარეკა ალუდაურისაგან 1985 წელს ჩაწერილი ირმებზე მონადირე ფშაველის ნაამბობი (გვ. 32). ფშაველმა ბოლოს თავი ანება ნადირობას, რადგან ცოდვისა შეეშინდა. მან თოფი წიფელს შემოჰკრა, რომ ცოდვა მასზე გადასულიყო. ნადირობაზეა ასევე ფშავის ანდრეზი „ნადირთ მწყემსი“ (გვ. 242) და ხევსურთ ანდრეზი „ირემი და მონადირე“ (გვ. 24). ნადირთ ხროს უხორცო ნადირთუფროსი იფარავს და თუ იგი მონადირეს განურისხდა, შერისხულს ვინმე მოუკვდება. ვაჟა-ფშაველას ზემოთ დასახელებულ პოემაში მონადირე თორღვას ხატის ხარირმის მოკვლისათვის ამოუწყდება ოჯახი და თორღვა მარტო დარჩება სახლში. კი ბევრი ინანულა თორღვამ, მაგრამ არ შეისმინა ხატმა მისი მონანულობა. კრებულში მოთხრობილია სხვა ანდრეზიც მონადირე ჯურხა თურმანაულზე (გვ. 94). მან მოიყვანა როშკის დიდგორის ჯვარი და ის ჯვარი ჯურხას მფარველობდა ნადირობისას. ფშავური ანდრეზი „ჯიხვის რქაზე ანთებული სანთელი“ (გვ. 217-8) მოგვითხრობს, რომ ნადირთ მფარველი უჩინარი არსება იყო და მონადირეს ლამაზი ქალის სახით ევლინებოდა. მონადირეს აზარის (ასი ნადირის მოკვლა) გათავების შემდეგ თოფი მიწაში უნდა დაემარხა და ნადირობაზე ხელი უნდა აეღო.

ანდრეზად ქცეულია მთიანეთის მაოხრებლის, თავაშვებული ფეოდალის, ზურაბ ერისთავის ხევსურეთს ლაშქრობა. მას ჯარს გრძნეული ხმლით მამუკა ქალუნდაური შეეტაკა და მას ხალხი დაუხოცა (გვ. 110-2). ზურაბ ერისთავმა მოაჭრევინა ხე, რომელიც ცასა და მიწას, კაცთა და ანგელოზთ აკავშირებდა. მაღალი ხე, რომელზეც ოქროს

ჯაჭვია ჩამობმული და მასზე ღვთისშვილნი იარებიან, რამდენჯერმე ნახსენებია ამ კრებულში („ხმალას ალვისხე I, II (გვ. 13-5)). ამ ხის მოჭრა დიდი ცოდვაა. ფშავის ანდრეზის მიხედვით, რომელიც ტრისტან მახაურს ჩაუწერია 1981 წელს, ზურაბ ერისთავს უნდოდა ლაშარის მუხის მოჭრა. ერთმა აფციაურმა გასცა ხის მოჭრის საიდუმლო, რის გამოც ლაშარის ჯვარმა აფციაურები დაწყევლა. ფშაველ კაცს ეკრძალება აფციაურის ქალის ცოლად მოყვანა და ფშაველი ქალი ვერ გაჰყვება აფციაურის კაცს.

ხევსურთა გვარების წინაპართა მოსვლაც ანდრეზად ქცეულა. ზოგნი ქართლიდან ამოვიდნენ, ზოგნი – კახეთიდან, სხვანი ქისტეთიდან გადმოხვეწილან. ანდრეზში „აფი და ჩახი“ (გვ. 289) ნაუწყებია, რომ ქისტები იყვნენ წარმოშობით ის ორი ძმა, რომელთაც აფციაურებისა და ჩოხელების გვარებს დაუდეს დასაბამი. ისინი თავიდან პარასკევს ინახავდნენ და არა კვირას, როგორც ქრისტიანები. ვეშაგურებზეც თქმულა, რომ ქისტები იყვნენ წარმოშობით (ანდრეზი „ვეშაგურები ხანდოს მთავარანგელოზში“ (გვ. 308). ჯაბუშანურები გადმოცემით თათრები ყოფილან („თათართ ჯვარანი“ და „ჯაბუშანურთ პაპა“ (გვ. 149-50)). ფშავის გადმოცემაში მოთხრობილია მისრეთიდან (ეგვიპტის არაბეთიდან) მოყვანილი მჭედლის ამბავი (გვ. 163). მისგან მოდის გვარი მისრიაშვილი და ხოშარასთან ახლოს, წაწადის ხეობაში არის სოფელი მისრიანთკარი. მისრიანი თამარ მეფის უნჯი ყმანი ყოფილან. ამ გვარიდან გამოსულან მჭედლებიც და ხევისბერებიც. არდოტს პირველად ლეკი მოსულა. დაჭრილ ირემს გამოჰყოლია და ადგილი რომ მოეწონა, დასახლდა („არდოტის დასახლება II“, გვ. 126)). ხევსურული გვარი მურღუევი იქიდან მოდის, რომ მურღვათ გვარისანი ლეკური წარმოშობისანი ყოფილან.

****

მიმაჩნია, რომ ქართული მითების შემსწავლელმა ამ წიგნის სახით მიიღო მშვენიერი გზამკვლევი, რომელიც მას დაეხმარება იმის გარკვევაში, რასაც დღეს ეროვნული იდენტიფიკაციის პრობლემა ეწოდება. კარგი იქნება, თუ დაწესდება ფილოლოგებისა და ფილოსოფოსების ერთობლივი რეგულარული სემინარი, რომელიც ქართული მითის ფილოსოფიას უფრო განავითარებს.

21 აპრილი, 2013 წელი

Gocha Gvasalia

A Corpus of Andrezs

Zurab Kiknadze's *A Corpus of Andrezs* (Religious and mythological traditions of eastern Georgian highlands) is a significant source for the study of mythscharacteristic of the highlands of eastern Georgia. It prepares the foundation for the philosophy of mythology in Georgia. This collection reveals how Christianity and paganism are intertwined. It tells us about the friendship and enmity of people and demons, the phenomenon of the divine, and sanctuaries typical of the region.

Lali Zakaradze

New Perspectives for Georgian Philosophy in the Light of Intercultural Thought (Reflections on Prof. Tengiz Iremadze's Work *Philosophy at the Juncture of Eras and Cultures*, Tbilisi, Nekeri 2013)

This paper discusses the difficulties inherent in the crisis of university and philosophy, and considers perspectives for their solution. It is suggested that philosophical thought should be engaged in a global discourse, different thinking traditions of philosophy should recognize and reflect each other, national models should be reconsidered, and new research perspectives be outlined. This paper offers some reflections on intercultural philosophy and, in this light, foregrounds new concepts and perspectives observable in Georgian philosophy (T. Iremadze).

Khvtiso Mamisimedishvili

Gottfried Merzbacher on the High Mountain Regions of the Caucasus

Gottfried Merzbacher travelled in the Caucasus between 1891 and 1892. His two-volume book *The High Mountaineous Regions of the Caucasus,* published in Leipzig in 1901, is an important source to learn about the geology and geography of the Caucasus as well as the historical past and ethnography of its inhabitants. This paper considers Merzbacher's ideas and observations on Caucasian highlanders from a modern perspective.